



## საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)

### საბაკალავრო პროგრამა პოლიტიკურ მეცნიერებებში

### საგანმანათლებლო პროგრამის საგნების მოკლე აღწერა

#### სავალდებულო ზოგადი საგნები

##### **აკადემიური წერა**

კურსი აცნობს სტუდენტებს აკადემიური ნაშრომის სტრუქტურასა და სტანდარტებს. სტუდენტები გამოიმუშავენენ ლიტერატურასთან მუშაობის, წყაროების მოძიების უნარს, შეისწავლიან აკადემიურ ნაშრომში წყაროების ციტირების, ციტატების პერეფრაზირების და ბიბლიოგრაფიის მითითების წესებს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პლაგიატს - პლაგიატის არსს და მისი თავიდან აცილების გზებს.

##### **სამართლის საფუძვლები**

კურსის განმავლობაში სტუდენტები გაეცნობიან იურისპუდენციას, როგორც სოციალური მეცნიერების საზრისს, მის ძირითად ცნებებსა და ტერმინებს; საქართველოს ნორმატიული აქტების სისტემას; კონსტიტუციის მნიშვნელობასა და მის ფუნქციებს. საქართველოს კონსტიტუციის სტრუქტურულ აგებულებას და კონსტიტუციის გადასინჯვის საფუძვლებს; აგრეთვე, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ცნებას, მნიშვნელობასა და მათ კლასიფიკაციას საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით; განხილული იქნება ადამიანის პირადი, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები; ხელისუფლების დანაწილება, როგორც საქართველოს კონსტიტუციის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი; საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების შტოთა კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები; საქართველოს სისხლის სამართლის, სამოქალაქო და სახელმეკრულებო სამართლის ძირითადი პრინციპები და ნორმები.

##### **დიადი წიგნები**

კურსი აწვდის სტუდენტებს ცოდნას მსოფლიო სულიერი, მხატვრული, ფილოსოფიური და სამეცნიერო მემკვიდრეობის შესახებ; ღრმად შეასწავლის, მეტწილად, დასავლური და, ნაწილობრივ, აღმოსავლური და ქართული კულტურული კომპენდიუმს; უვითარებს ლიტერატურული, სამეცნიერო და ფილოსოფიური ტექსტების ღრმა წაკითხვის უნარს, სტრუქტურული ანალიზის და ამგვარი მემკვიდრეობის, როგორც სისტემის, გააზრების უნარ-ჩვევებს.

##### **კალკულუსი**

კურსი მარტივი და თვალსაჩინო ფორმით აცნობს სტუდენტს მათემატიკური ანალიზის და წრფივი ალგებრის საბაზისო ცნებებს და მეთოდებს, რომლებიც გამოიყენება ბიზნესისა და ეკონომიკის ამოცანების გადასაჭრელად; ეხმარება მას აუცილებელი მათემატიკური აპარატის შესწავლაში, სათანადო ლოგიკური აზროვნების და უნარ – ჩვევების გამომუშავებაში.

კურსის განმავლობაში ყურადღება მახვილდება ბიზნესისა და ეკონომიკის სხვადასხვა პრაქტიკული ამოცანების მათემატიკური მოდელების ჩაწერაზე, მათ ანალიზსა და გადაწყვეტაზე.



## **ისტორიული მოვლენები**

კურსი აცნობს სტუდენტს მსოფლიო ისტორიის ძირითად მოვლენებს, დაწყებული ბიზანტიის იმპერიიდან დამთავრებული ცივი ომით; უვითარებს ისტორიულ მოვლენათა შეფასების, დამოუკიდებელი აზროვნების, განსჯის და მოვლენათა შეფასების უნარს.

## **ფსიქოლოგიის საფუძვლები**

კურსი სტუდენტებს აწვდის საბაზისო ცოდნას ფსიქოლოგიის ძირითადი ცნებების, ფაქტებისა და კანონზომიერებების შესახებ. კურსის ფარგლებში სტუდენტს ექმნება ზოგადი წარმოდგენა ძირითად ფსიქოლოგიურ თეორიებსა და ფსიქოლოგიური კვლევის უმთავრეს მეთოდებზე. კურსი აგრეთვე მიზნად ისახავს კონტექსტუალური საფუძვლების, სათანადო ორიენტირების გამომუშავებას მომდევნო პროგრამული დისციპლინების ათვისებისთვის და სტუდენტის შემდგომი პროფესიული სრულყოფისთვის.

## **ეკონომიკის შესავალი**

კურსი აცნობს სტუდენტებს ეკონომიკური ცოდნის საფუძვლებს; უყალიბებს ნათელ წარმოდგენას მოთხოვნის და მიწოდების საბაზრო ძალებზე, კონკურენტულ ბაზრებზე, მონოპოლიებსა და ოლიგოპოლიებზე, ეკონომიკურ ზრდაზე, დანაზოგებსა და ინვესტიციებზე, უმუშევრობასა და ინფლაციაზე, მონეტარულ და ფისკალურ პოლიტიკაზე.

## **შესავალი ფილოსოფიის ისტორიაში**

კურსი აცნობს სტუდენტებს აზრისა და მეცნიერების განვითარების ისტორიას, იმ ძირითად ტენდენციებსა და საკვანძო საკითხებს, რომელთაც კაცობრიობის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება; აზიარებს სტუდენტებს ფილოსოფიური აზროვნების პრინციპებს, ხელს უწყობს მათი მსოფლმხედველობის გაფართოებას.

კურსი სტუდენტებს უყალიბებს მეცნიერულ-კრიტიკული აზროვნების სწორი მსჯელობა-დასაბუთების უნარს.

## **შესავალი სოციოლოგიაში**

კურსი დამწყებ საფეხურზე მყოფ სტუდენტებს აწვდის ცოდნას დარგის სტრუქტურის, წამყვანი თეორეტიკოსებისა და მთავარი საკითხების შესახებ. შეასწავლის სოციოლოგიის ძირითად ცნებებს, წამყვან სოციოლოგიურ თეორიებსა და სოციალურ კანონზომიერებებს; უვითარებს მათ სოციოლოგიურ ტერმინებში აზროვნების, კონცეპტუალური აპარატის სწორად გამოყენების, არსებული თეორიების რაკურსში საზოგადოების შეფასებისა და სოციალურად აღიარებული ღირებულებების კრიტიკულად შეფასების უნარ-ჩვევებს.

## **ინგლისური ენის კომპონენტი**

### **ინგლისური ენა I (Pre-intermediate)**

კურსი სტუდენტებს შეასწავლის ინგლისურ ენას საერთო ევროპული ჩარჩოთი გათვალისწინებული Pre-intermediate დონეზე ოთხივე ენობრივი უნარის გათვალისწინებით - მოსმენა, კითხვა, ზეპირი მეტყველება, წერა. მოსმენა - ნაცნობ საკითხებთან დაკავშირებული მეტყველების (აუდიოტექსტების) ძირითადი აზრის გაგება. სატელევიზიო და რადიო ახალი ამბების და პირადი ინტერესის შესაბამისი პროგრამების ძირითადი აზრის გაგება, შედარებით ნელი მეტყველების პირობებში; კითხვა - ნაცნობ საკითხებთან დაკავშირებული ტექსტების ძირითადი აზრის გაგება კოლოქვიალური ფრაზების ან სამსახურთან და სწავლასთან



დაკავშირებული ლექსიკის შემცველი ტექსტების ძირითადი აზრის გაგება; ზეპირი მეტყველება - (მონოლოგი) გამოცდილებების, მოვლენების, ოცნებების და მიზნების მარტივი ფრაზებით აღწერა, საკუთარი მოსაზრებების ახსნა და დასაბუთება, მოთხრობის, წიგნის ან ფილმის შინაარსის გადმოცემა საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვით, (დიალოგი) კომუნიკაციის დამყარება სხვადასხვა სოციალურ სიტუაციაში. ნაცნობ თემებზე (ოჯახი, ჰობი, სამუშაო, მოგზაურობა და ა.შ) საუბრისას კომუნიკაციაში მოუმზადებლად შესვლა; წერა - მარტივი, ლოგიკურად შეკრული ტექსტის შექმნა ნაცნობ ან საინტერესო საკითხზე გამოცდილებების და პირადი ახალი ამბების აღწერა არაფორმალურ წერილში ფორმალური წერილის დაწერა საჭირო ინფორმაციის მიღებისთვის

### **ინგლისური ენა II (Intermediate)**

კურსი სტუდენტებს შეასწავლის ინგლისურ ენას საერთო ევროპული ჩარჩოთი გათვალისწინებული საშუალო Intermediate დონეზე, ოთხივე ენობრივი უნარის - მოსმენა, კითხვა, ზეპირი მეტყველება, წერა - თანაბარი განვითარებითა და განმტკიცებით; გამოუმუშავებს აკადემიური ტექსტის გაგების უნარს სათანადო ლექსიკური მარაგის დაგროვება/განმტკიცების გზით; გაულრმავებს გრამატიკის ცოდნას და რიგი ახალი კონსტრუქციების წარმოების უნარს; გააცნობს წერის სხვადასხვა ფორმატს: ელექტრონული ფოსტა, ბარათები, ოფიციალური და არაოფიციალური წერილები, ფილმებისა და წიგნების მიმოხილვა; განუვითარებს მეტყველების სისხარტეს.

### **ინგლისური ენა III (Upper Intermediate)**

კურსი ორიენტირებულია ძირითადი ენობრივი საკომუნიკაციო ოთხივე ენობრივი უნარის (შესაბამის დონეზე) კითხვა, წერა, ზეპირი მეტყველება, მოსმენა - თანაბარ განვითარებასა და განმტკიცებაზე; აკადემიური ტექსტის გაგების უნარის გამომუშავებაზე სათანადო ლექსიკური მარაგის დაგროვება/განმტკიცების გზით; გრამატიკის ცოდნის გაღრმავებასა და რიგი ახალი კონსტრუქციების წარმოებაზე; კითხვის უნარის გაუმჯობესებაზე; ამ ეტაპზე სტუდენტი კითხულობს სხვადასხვა ფორმატის ინგლისურენოვან საკითხავ მასალას ( წერილი, დღიური, მოთხრობა, განცხადება და ა.შ.); წერი უნარის შემდგომ განვითარებაზე; სტუდენტი მოცემული ინფორმაციის საფუძველზე წერს სხვადასხვა შინაარსის წერილს, ღია ბარათს, თხზავს საშუალო მოცულობის თხრობით ტექსტს, გადმოსცემს საკუთარ მოსაზრებას, იღრმავებს წერის ჩვევებს (ოფიციალური და არაოფიციალური რეგისტრი); ზეპირი მეტყველების შემდგომ განვითარებაზე; სიმულაციური სიტუაციების დახმარებით სტუდენტი საუბრობს სხვადასხვა ყოფით გარემოში, მონაწილეობას იღებს დისკუსიაში, გამოხატავს საკუთარ შეხედულებებს. მოსმენის უნარის გასავითარებლად სტუდენტი ისმენს როგორც ცოცხალ მეტყველებას, ასევე აუდიო ჩანაწერებს. მოსმენის სავარჯიშოები ავითარებს სტუდენტის უნარს ამოიცნოს კონკრეტული ინფორმაცია და გაიგოს მოცემული დონისათვის შესაბამისი საუბრის ზოგადი შინაარსი გაბმულ მეტყველებაში.

### **ინგლისური ენა IV (Advanced 1)**

კურსი ორიენტირებულია ოთხი ძირითადი ენობრივი საკომუნიკაციო მიმართულებების განვითარებაზე, როგორც ჯგუფურ, ასევე ინდივიდუალურ რეჟიმში Advanced 1 (C1.1) დონის შესაბამისად: კითხვა - შესაბამისი დონის ტექსტების გაგება ნებისმიერ სფეროში, რაც ინგლისურ ენაზე სასწავლო დისციპლინების დაეუფლების საშუალებას იძლევა ტექსტის წაკითხვისას, ნაგულისხმევი აზრის გამოტანა. ზეპირი მეტყველება - ოფიციალური და არაოფიციალური სტილის გამოყენება დროულად და მიზნობრივად; მეტყველება გრამატიკული და ლექსიკური შეცდომების მცირე ოდენობით; განსხვავებულ თემატიკაზე შეუფერხებელი (უმნიშვნელოდ შეფერხებული) მეტყველების უნარი; იდიომატიური გამოთქმების და ფიქსირებული ფრაზების ცოდნა და მათი სწორი გამოყენება; ენის ფონოლოგიური სპეციფიკაციების ცოდნა და მათი



გამოყენება ენის კანონების შესაბამისად (მაგ. წინადადების ნაწილების ინტონაციით გამოყოფა, ლოგიკური მახვილების გაკეთება, სინტაგმების შესატყვისი გამოყენება და ტექსტის ერთეულების სწორად დაკავშირება); საკუთარი გრძნობების და ემოციების სწორი გამოხატვის უნარი ენის სპეციფიკის გათვალისწინებით; მოსმენა - მეტყველების ძირითადი მომენტების თავიდანვე გაგება და მოსაუბრის პრობლემატიკის მიმართ დამოკიდებულების გამოცნობა; მოსაუბრის ინტონაციის შეფასების უნარი და მოსაუბრის გრძნობებისა და ემოციების შესახებ დასკვნის გამოტანა; წერა - ოფიციალური და არაოფიციალური წერილების და/ან ელექტრონული წერილების შედგენა; საკუთარი გრძნობების და ემოციების გამოხატვის უნარი წერილობით ფორმაში ტექსტის ეტიკეტის თანახმად; თხზულებების დაწერა; დისკუსიური ესეების დაწერა (ლოგიკური დასკვნის გამოტანით); მოხსენებების, სტატიების, წიგნების რეცენზიების დაწერის უნარი.

## **ინგლისური ენა V (Advanced 2)**

კურსი ორიენტირებულია ოთხი ძირითადი ენობრივი საკომუნიკაციო მიმართულებების განვითარებაზე, როგორც ჯგუფურ, ასევე ინდივიდუალურ რეჟიმში Advanced 2 (C1.2) დონის შესაბამისად:

კითხვა - შესაბამისი დონის ტექსტების გაგება ნებისმიერ სფეროში, რაც ინგლისურ ენაზე სასწავლო დისციპლინების დაეუფლების საშუალებას იძლევა ტექსტის წაკითხვისას, ნაგულისხმევი აზრის გამოტანა; ზეპირი მეტყველება - ოფიციალური და არაოფიციალური სტილის გამოყენება დროულად და მიზნობრივად; მეტყველება გრამატიკული და ლექსიკური შეცდომების მცირე ოდენობით; განსხვავებულ თემატიკაზე შეუფერხებელი (უმნიშვნელოდ შეფერხებული) მეტყველების უნარი; იდიომატიური გამოთქმების და ფიქსირებული ფრაზების ცოდნა და მათი სწორი გამოყენება; ენის ფონოლოგიური სპეციფიკაციების ცოდნა და მათი გამოყენება ენის კანონების შესაბამისად (მაგ. წინადადების ნაწილების ინტონაციით გამოყოფა, ლოგიკური მახვილების გაკეთება, სინტაგმების შესატყვისი გამოყენება და ტექსტის ერთეულების სწორად დაკავშირება); საკუთარი გრძნობების და ემოციების სწორი გამოხატვის უნარი ენის სპეციფიკის გათვალისწინებით; მოსმენა - მეტყველების ძირითადი მომენტების თავიდანვე გაგება და მოსაუბრის პრობლემატიკის მიმართ დამოკიდებულების გამოცნობა; მოსაუბრის ინტონაციის შეფასების უნარი და მოსაუბრის გრძნობებისა და ემოციების შესახებ დასკვნის გამოტანა; წერა - ოფიციალური და არაოფიციალური წერილების და/ან ელექტრონული წერილების შედგენა; საკუთარი გრძნობების და ემოციების გამოხატვის უნარი წერილობით ფორმაში ტექსტის ეტიკეტის თანახმად; თხზულებების დაწერა; დისკუსიური ესეების დაწერა (ლოგიკური დასკვნის გამოტანით); მოხსენებების, სტატიების, წიგნების რეცენზიების დაწერის უნარი.

## **სპეციალობის სავალდებულო საგნები**

### **მმართველობის ფორმები და თეორიები**

კურსი სტუდენტს აცნობს მმართველობის განსხვავებულ თეორიებსა და მოდელებს, ლეგიტიმაციას, კონფლიქტებს და მმართველობის ფილოსოფიურ მიდგომებს; ეხმარება სტუდენტს განიმტკიცოს თეორიული ცოდნა და განვიითაროს პრაქტიკული უნარ-ჩვევები სხვადასხვა მაგალითის განხილვისა და ანალიზის პროცესში.

### **საქართველოს სახელმწიფო მოწყობის ისტორიული განვითარება**

კურსი აწვდის სტუდენტებს ცოდნას ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიის შესახებ, მისი წარმოშობისა და განვითარების ძირითადი ეტაპებისა და ჩამოყალიბების პრინციპების შესახებ; აცნობს სახელმწიფო მოწყობის ისტორიულ განვითარებას ქრონოლოგიურად; ასევე - მმართველობის ფორმებს, სტრუქტურებს, კონკრეტულ ეპოქაში სახელმწიფო მოხელის უფლება-



მოვალეობებს, მეზობელი სახელმწიფოების გავლენებს მმართველობის სისტემების ჩამოყალიბების პროცესში. ზემოჩამოთვლილთან ერთად, კურსის მიზანია, სტუდენტმა გაიაზროს დღეს არსებული გამოწვევები და მომავალის პერსპექტივები.

კურსი ორიენტირებულია ასევე პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაზეც: ერთი მხრივ, ესაა პრეზენტაციების მომზადება, მეორე მხრივ, ანალიტიკური წერისა და აზროვნების უნარების გაუმჯობესება.

## **პოლიტიკის თეორია და ფილოსოფია 1**

კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან ანტიკური ეპოქის პოლიტიკურ თეორიებს პლატონისა და არისტოტელეს პოლიტიკურ შეხედულებებს. ციცერონის პოლიტიკურ ფილოსოფიას. შუა საუკუნეების მოაზროვნეების - ნეტარი ავგუსტინე, ალ ფარაბი, თომა აქვინელი - პოლიტიკურ თეორიებს. ნიკოლო მაკიაველის პოლიტიკური და ადამიანური მორალის დეფინიციის საკითხებს. კონკრეტულ ავტორებზე დაყრდნობით და მათი თეორიების გადმოცემით. კურსი მოვიცავს როგორც ისტორიულ მასალას, ასევე შესაძლებელს ხდის პოლიტიკური თეორიის ზოგადი ბუნებისა და მისი განვითარების მაგისტრალური გეზის ჩვენებას. შეისწავლება პოლიტიკური თეორიის წარმოშობისა და განვითარების ეტაპები ანტიკურობიდან ახალ დრომდე. კურსი შეეხება ისეთ თეორიებს, რომელთაც პოლიტიკურ ფილოსოფიას ან უბრალოდ პოლიტიკურ თეორიას უწოდებენ.

## **საქართველოს პოლიტიკა და მმართველობა**

კურსი წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფოს წარმოშობის, მისი შექმნის დიაქრონიკის, გარემოებების, მიზეზების და ხელშემწყობი პირობების, საქართველოს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის და მისი წარმოების ანალიზს და აღწერას. პირველი ქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანებების, შუა საუკუნეების დამოუკიდებელი საქართველოს, პირველი ქართული რესპუბლიკის, საბჭოთა საქართველოს და ახალი საქართველოს შექმნის, განვითარების, პოლიტიკის და გამოწვევების ანალიზს; თანამედროვე დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო პოლიტიკის ანალიზს.

## **პოლიტიკური სოციოლოგია**

კურსი სტუდენტებს აწვდის ცოდნას პოლიტიკის სოციოლოგიის ძირითადი საკითხების შესახებ და ეხმარება მათ გაანალიზებაში. კერძოდ, პოლიტიკისა და სოციუმის, პოლიტიკისა და ძალაუფლების ურთიერთმიმართების საკითხების გაცნობიერებაში. კურსი მიმოიხილავს ისეთ საკითხებს, როგორცაა: ხელისუფლება, ადამიანი და საზოგადოება; ხელისუფლების მიზანი, მმართველობის ფორმები; პოლიტიკური რეჟიმი; არჩევნები; დემოკრატია და იდეოლოგია, ძალაუფლების ლეგიტიმურობა, სამოქალაქო საზოგადოების და მედიის გავლენა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე და სხვა.

## **სახელმწიფო მოწყობა და ადმინისტრირება**

კურსი სტუდენტებს აცნობს საჯარო მმართველობისა და თვითმმართველობის ძირითად კონცეფციებსა და ცნებებს, შეასწავლის საჯარო მმართველობის კლასიკოს ავტორთა შრომებს, გააცნობს საჯარო ორგანიზაციის მართვის საფუძვლებს და საჯარო სექტორის მთავარ პრინციპებსა და ღირებულებებს.

კურსის მიზანია, სტუდენტებს გააცნოს ადგილობრივი თვითმმართველობის თეორიული ასპექტები და პრინციპები. სტუდენტები შეისწავლიან დეცენტრალიზაციის არსს და ადგილობრივი საჯარო მმართველობის მიზნებსა და ფუნქციებს. გაეცნობიან ევროპულ ქარტიას ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ და საქართველოში ადგილობრივი



თვითმმართველობის განვითარების პროცესებს. ასევე შეისწავლიან თვითმმართველობის ინსტიტუციებსა და მათ ფუნქციებს.

## **პოლიტიკის თეორია და ფილოსოფია 2**

კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან ახალი დროის მოაზროვნეთა პოლიტიკურ, სოციალურ და სახელმწიფოებრივ თეორიებს ჯონ ლოკის, თომას ჰობსის, ჟან ჟაკ რუსოს, იმანუელ კანტისა და სხვათა მოძღვრებათა საფუძველზე. კონკრეტულ ავტორებზე დაყრდნობით და მათი თეორიების გადმოცემით. კურსი მოვიცავს როგორც ისტორიულ მასალას, ასევე შესაძლებელს ხდის პოლიტიკური თეორიის ზოგადი ბუნებისა და მისი განვითარების მაგისტრალური გეზის ჩვენებას. კურსის ფარგლებში შეისწავლება პოლიტიკური თეორიის წარმოშობისა და განვითარების ეტაპები. კურსის მიზანია მსოფლიო უდიდეს მოაზროვნეთა პოლიტიკური თეორიის ანალიზის საფუძველზე სტუდენტებმა გაიაზრონ თანამედროვე პოლიტიკური სისტემების თეორია.

### **საჯარო პოლიტიკის შესავალი**

კურსი აცნობს სტუდენტებს პოლიტიკის ანალიზის არსს, პროცესსა და ძირითად ინსტრუმენტებს; განიხილავს პოლიტიკის ანალიზის ძირითად თემებს, საკითხებსა და პრობლემებს, რომელთა გადაწყვეტას ცენტრალური მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების საქმეში. პოლიტიკის ფორმულირების პროცესის გასაანალიზებლად გამოყენებული იქნება სამი ძირითადი გარემოების - პოლიტიკური კონტექსტის, ექსპერტული შეფასებისა და თავისუფალი ბაზრის ურთიერთქმედება.

### **პრეზენტაციის უნარები**

კურსი მიმართულია პრეზენტაციის უნარების გამომუშავებაზე, აუდიტორიის წინაშე წარდგომის წესებისა და ტექნიკის ათვისებაზე; პრეზენტაციის მსვლელობისას აუდიტორიასთან ეფექტური კომუნიკაციის დამყარების უნარ-ჩვევების განვითარებაზე.

### **შესავალი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში**

კურსი აწვდის სტუდენტებს ცოდნას საერთაშორისო ურთიერთობათა წამყვან თეორიებზე, როგორც კლასიკური (რეალიზმი, ლიბერალიზმი), ასევე თანამედროვე თეორიები (ნეორეალიზმი, ნეომარქსიზმი, კონსტრუქტივიზმი) და ზოგიერთი თანამედროვე კონცეფცია (როგორც ისტორიის დასასრული და ცივილიზაციათა შეჯახება). სტუდენტები კურსის დასრულების შემდეგ შეძლებენ მსოფლიო მოვლენათა გააზრებას საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიების ჭრილში და, ამგვარად, უკეთ გაიაზრებენ წარსულ თუ მიმდინარე მოვლენებს.

### **პოლიტიკა, ძალაუფლება და მართვა**

კურსი აწვდის სტუდენტს საბაზისო თეორიულ ცოდნას პოლიტიკის, ძალაუფლებისა და მართვის ანალიზის შესახებ და ორიენტირებულია ამ ცოდნის პოლიტიკურ-მმართველობით სისტემასთან ურთიერთმიმართების მოდელებისა და პარადიგმების გააზრებაზე; ასევე, პოლიტიკის ანალიზის სტრუქტურის, სახეების, ტიპებისა და მეთოდების შესწავლაზე და კონკრეტულ სიტუაციებში მათი გამოყენების უნარების გამომუშავებაზე; საჯარო პოლიტიკასა და პოლიტიკურ-მმართველობით სისტემაში პოლიტიკური პროგნოზირების სახეების, ალტერნატივების გამომუშავების, პოლიტიკური რისკების გათვალისწინებისა და პოლიტიკურ სიტუაციებში რაციონალური პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების საბაზისო მოდელებისა და პროცედურების გააზრებაზე.

## **კვლევის მეთოდები, სტატისტიკა**

კურსის მიზანია სოციალური კვლევის მეთოდების ტექნიკების ათვისება და გამოყენება; რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდების შესწავლა; გამოყენებითი სტატისტიკის ელემენტების გაცნობა, სტატისტიკური მონაცემების შეგროვების, გაანალიზებისა და პრაქტიკულ კონტექსტში გამოყენებისათვის. კურსის ამოცანაა მოამზადოს საფუძველი იმისთვის, რომ ბაკალავრმა შეძლოს სრულფასოვანი კვლევის ჩატარება სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით.

## **გარდამავალი მმართველობა**

კურსი დაეხმარება სტუდენტებს - გაიაზრონ და მიიღონ ცოდნა გარდამავალი ქვეყნების თავისებურებებისა და გასავლელი/განვლილი ეტაპების შესახებ, დაინახონ ახალი დემოკრატიებისთვის გასავლელი/განვლილი ეტაპები და მათი უპირატესობა; ჩაერთონ დისკუსია/განხილვებში, მათ შორის საქართველოს პერსპექტივებისა და ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხეებისა და გამოწვევების დაძლევის კუთხით, რაც ხელს შეუწყობს მათი ხედვის სწორ ფორმირებას. კურსი ორიენტირებულია თითოეულ სტუდენტს მისცეს სისტემური ცოდნა, განუვითაროს სახელმწიფოებრივი აზროვნება, ენთუზიაზმი, ეროვნული და სამოქალაქო ღირებულებები.

## **სოციალური პოლიტიკა**

კურსი სტუდენტებს აცნობს სოციალურ პოლიტიკას, როგორც სამეცნიერო დარგს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კეთილდღეობის სახელმწიფოსა და კეთილდღეობის სხვადასხვა მოდელის შესწავლას მსოფლიოს მასშტაბით. მოდელები განიხილება იმის მიხედვით, თუ რა ეფექტი აქვთ მათ ქვეყანაში არსებულ სიღარიბესა და სოციალურ უთანასწორობაზე.

## **სამართალი, მართლმსაჯულება და ეთიკა**

კურსი შეასწავლის სტუდენტებს სამართლის და ეთიკის, როგორც სოციალური მეცნიერებების, საზრისს, მათ ძირითად ცნებებსა და ტერმინებს; სამართლის და მორალის ძირითად რეგულატორებს; ეთიკის ძირითად პრინციპებსა და ფუნქციებს; სამართლის, მართლმსაჯულების და ეთიკის ურთიერთდამოკიდებულების საკითხს; სამართლის და ეთიკის სტრატეგიულ ამოცანას - საზოგადოების მთლიანობის შენარჩუნება და განვითარება.

## **შესავალი კონფლიქტოლოგიაში**

კურსი შეასწავლის სტუდენტს საზოგადოების სოციალურ სტრუქტურებში მიმდინარე კონფლიქტური პროცესების ანალიზს, კონფლიქტის ბუნებას, ნაირსახეობას და მათ გამოწვევ მიზეზებს, აგრეთვე გამოუმუშავებს კონფლიქტის მართვისა და კონფლიქტის შედეგებზე მუშაობის უნარებს. კურსის ფარგლებში სტუდენტი შეისწავლის სამხედრო და ძალადობრივი კონფლიქტების გამოწვევ მიზეზებს. ძალადობრივი კონფლიქტების ნაირსახეობას, მათი მოგვარების გზებს. კონკრეტულ მაგალითების შესწავლით სტუდენტებს ჩამოუყალიბდებათ კონფლიქტების პრევენციის, გააზრების, მენეჯმენტის და მათი გადაჭრის უნარი.

## **გეოპოლიტიკა და გლობალიზაცია**

კურსი აცნობს სტუდენტებს გეოპოლიტიკის და გლობალიზაციის ძირითად საკითხებს: გეოპოლიტიკის თეორიულ საფუძვლებს, თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკურ რუკას, გეოპოლიტიკური იდეების განვითარების თავისებურებებს, მსოფლიოში მიმდინარე გეოპოლიტიკურ პროცესებს, საქართველოს გეოპოლიტიკურ პრობლემებს, გლობალიზაციის არსს (შეხედულებები და დისკუსია), გლობალიზაციის გავლენას ეროვნულ სახელმწიფოებზე,



გლობალიზაციის ფორმებს, გლობალიზაციის როლს თანამედროვე მსოფლიო წესრიგში; გლობალიზაციის თანამედროვე გამოწვევებს.

### **პოლიტიკური იდეოლოგიები**

საგანი სტუდენტებს გააცნობს იდეოლოგიას, როგორც ცნებას, მის განზომილებებსა და თანამედროვე მიმართულებებს, თეორიებსა და სადისკუსიო თემებს. სტუდენტები შეძლებენ პოლიტიკის პროცესში იდეოლოგიების როლის, მათი წარმოშობისა და საპირისპირო იდეოლოგიების ურთიერთქმედების შესწავლას; კურსი მისცემს არსებული პოლიტიკური იდეოლოგიების შესახებ სრულყოფილ ცოდნას და განუვითარებს მათი რეალურ პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის შეფასებისა და კრიტიკული ანალიზის უნარს.

### **პოლიტიკური ფსიქოლოგია**

კურსი აცნობს სტუდენტებს პოლიტიკური ფსიქოლოგიის ცნებებს და მათ სწორად გამოყენებას; უქმნის ზოგად წარმოდგენას პოლიტიკური ფსიქოლოგიის თეორიებსა და კანონზომიერებებზე. შეძენილი ცოდნის საფუძველზე უვითარებს რეალური და სიმულირებული სიტუაციების გაანალიზებისა უნარ-ჩვევებს.

### **ევროკავშირის პოლიტიკა**

კურსი აღწერს ევროკავშირისა და მისი ინსტიტუტების მუშაობის ძირითად პრინციპებს. ასევე, გაანალიზდება ევროკავშირის მიერ პოლიტიკის შექმნის პროცესი და ის ცვლადები, რომლებიც ამ პროცესზე გავლენას ახდენს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების გაანალიზებას.

### **პოლიტიკური პარტიები, საარჩევნო სისტემები**

კურსი მიმართულია საქართველოში არჩევნების ინსტიტუციებთან დაკავშირებულ საკითხთა განხილვაზე. არჩევნები, როგორც არა მარტო დემოკრატიის არსებითი ნიშანი, არამედ მისი ქვაკუთხედი და აუცილებელი პირობა. არსებული საარჩევნო სისტემები, საარჩევნო კოდექსი, პოლიტიკური პარტიები და საარჩევნო რეფორმის საფეხურები. პრაქტიკული დავალებების მეშვეობით უშუალო გამოცდილების მიღება არჩევნების ტექნოლოგიების განვითარების სფეროში. არჩევნების პროფესიონალური კუთხით დანახვა და მიმდინარე პროცესების ანალიზი.

### **რუსეთი და პოსტსაბჭოთა სივრცე**

კურსი აწვდის სტუდენტს ცოდნას პოსტ-საბჭოთა სივრცეში არსებული არადიარებული (დე ფაქტო) სახელმწიფოების ფენომენისა და მათ მიმართ რუსეთის ფედერაციის პოლიტიკის შესახებ; ამასთანავე, აცნობს შესაბამის ტექნიკებს, რომელიც დაეხმარებათ მათ იმ გავლენის გაანალიზებაში, რასაც ახდენს საბჭოთა წარსული პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოების შიდა პოლიტიკაზე.

სტუდენტები აგრეთვე მულტი-დისციპლინარული პერსპექტივით შეისწავლიან იმ ფაქტორებს, რომელთა საშუალებითაც აგრძელებენ არსებობას დე ფაქტო სახელმწიფოები პოსტ-საბჭოთა სივრცეში; დე ფაქტო სახელმწიფოების ფენომენის შესწავლა მოხდება სხვადასხვა მიდგომით, მათ შორის თვისებრივი, ინტერპრეტაციული მეთოდებით, მიკრო და მაკრო დონის ანალიზით. კურსის ფარგლებში სტუდენტები შეიტყობენ, თუ რა გავლენას ახდენენ არასახელმწიფო აქტორები - დე ფაქტო სახელმწიფოები სუვერენიტეტის, ძალაუფლებისა და მმართველობის დამკვიდრებულ გაგებაზე თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში. კურსის მიზანია აამაღლოს სტუდენტების ცოდნა საერთაშორისო სისტემაში წარმოშობილი დე ფაქტო სახელმწიფოების შესახებ, ისევე როგორც გაანალიზოს მფარველი სახელმწიფოს როლი დე ფაქტო სახელმწიფოების შიდა პოლიტიკაზე და საგარეო ურთიერთობებზე.





## **ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა**

კურსი სტუდენტებს შეასწავლის პირველი თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს – ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ისტორიას, მისი ფორმირების პროცესს და საფუძვლებს; აცნობს აშშ-ს სახელისუფლებო შტოებს შორის ურთიერთობას და გადაწყვეტილების მიღების პროცესს, აგრეთვე, აშშ-ს პოლიტიკისა და გადაწყვეტილების მიღების ძირითად პრინციპებს.

## **ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკა**

კურსი სტუდენტებს აცნობს ახლო აღმოსავლეთის რეგიონს, მის გეოგრაფიულ და პოლიტიკურ თავისებურებებს, პოლიტიკური რუკის ჩამოყალიბების ისტორიას. აგრეთვე არაბული სამყაროს რეგიონალიზაციას, პალესტინის გაყოფის (1947-48 წწ). წინაპირობებს, ისრაელის სახელმწიფოს შექმნას. ისრაელ-პალესტინის (არაბული ქვეყნების) კონფლიქტის სათავეებს. განხილული იქნება: იერუსალიმის პრობლემა; არაბთა გაერთიანებული სახელმწიფოს (ეგვიპტე-სირია) შექმნა და მოკლე ისტორია. „ბაღდადის პაქტი“-SENTO"; ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტისათვის ხელისშემშლელი ფაქტორები; ბირთვული იარაღის საკითხი რეგიონში. ირანის ისლამური რევოლუცია (1979) და მისი გავლენა რეგიონზე. ირან-ერაყის ომი, ამერიკის ორი ომი ერაყში. ეგვიპტე და „არაბთა ლიგა“. „არაბული გაზაფხული“. თურქეთი. ირანი. ერაყი. სირიის პრობლემა (ბაასიზმი, შიიზმი). მოსალოდნელი ძვრები და შესაძლო შედეგები რეგიონისათვის.

## **დასკვნითი სასწავლო პროექტი**

კურსის ფარგლებში სტუდენტი ასრულებს სასწავლო პროექტს, რომელიც შემდეგი მიზნების მიღწევაზეა მიმართული: პროგრამის ფარგლებში შეძენილი თეორიული ცოდნის გაღრმავება და გამოვლენა ინდივიდუალურად შერჩეულ თემაზე მუშაობის შედეგად; პროექტისთვის აუცილებელი უნარ - ჩვევების განვითარება და პრაქტიკაში გამოყენება.

კონკრეტული მიზნები: სტუდენტის მიერ მისთვის საინტერესო საპროექტო თემის შერჩევა პოლიტიკური მეცნიერებების სფეროში; შერჩეული საპროექტო თემის შესახებ ლიტერატურის მოძიება, მიმოხილვა და ანალიზი; კურსის ფარგლებში განვლილი თეორიების/მოდულების შევსება და ცოდნის ერთიან მასივში ინტეგრაცია; პროექტის მიზნის ფორმულირება; პროექტის დაგეგმვა და განხორციელება; პროგრამის ფარგლებში შეძენილი თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოყენება მონაცემების შეგროვების მიზნით; მიღებული მონაცემების დამუშავება შესაბამისი მეთოდების, ინსტრუმენტებისა და პროგრამების გამოყენებით; შედეგების ინტერპრეტაცია და ანალიზი; შესაბამისი დასკვნის გამოტანა.

## **არჩევითი საგნები**

### **ფსიქოლოგიის ისტორია**

კურსი უქმნის სტუდენტს წარმოდგენას ფსიქოლოგიური მეცნიერების თავისებურებებზე, მის ადგილზე მეცნიერებათა სისტემაში და მიმართულია ფსიქოლოგიური აზრის განვითარების უმთავრესი ტენდენციების გაგებაზე; კლასიკური ფსიქოლოგიის ძირითადი კონცეპტუალური სისტემების შინაარსის ათვისებაზე; ფსიქოლოგიის უმთავრესი კატეგორიებისა და პრინციპების შესწავლაზე; ფსიქოლოგიის უმნიშვნელოვანესი მეთოდოლოგიური და თეორიული პრობლემატიკის გაცნობაზე; ფსიქოლოგიის ძირითადი დარგების (ზოგადი, დიფერენციალური, სამედიცინო, ცხოველთა და ბავშვის ფსიქოლოგიის) ჩასახვისა და განვითარების ისტორიის

შესწავლაზე ფსიქოლოგიის ისტორიის უმთავრესი ფიგურანტების ცხოვრებისა და მოღვაწეობის გაცნობაზე.

### **ეკონომიკური ისტორია**

კურსი სტუდენტებს აწვდის ცოდნას მსოფლიოს ეკონომიკური განვითარების ძირითადი ეტაპების შესახებ.

### **ბიზნესის საფუძვლები**

კურსი წარმოადგენს შესავალს თანამედროვე ბიზნესის კონცეფციებში, მეთოდებში, სტრუქტურებსა და საქმიანობაში. კურსი სტუდენტებს აცნობს ბიზნესის და მისი მართვის ენას, ცნებებს და გარემოს. საგანი წარმოადგენს ერთგვარ გზამკვლევს თანამედროვე ბიზნესში.

### **მოდერნული სოციოლოგიური თეორიები**

კურსი აწვდის სტუდენტებს ცოდნას, რომელიც შეაძლებინებს მათ გააანალიზონ და შეისწავლონ მოდერნული სოციოლოგიური თეორიები; მოახდინონ სოციალური მოვლენების ანალიზი სხვადასხვა თეორიაზე დაყრდნობით; კრიტიკულად გაიაზრონ და შეადარონ სხვადასხვა თეორიები, მათი სუსტი და ძლიერი მხარეები. კურსის ფარგლებში სტუდენტები აითვისებენ მიკრო, მედიატორულ და მაკრო თეორიებს.

### **საჯარო სექტორის ეკონომიკა**

კურსი სტუდენტს აწვდის ცოდნას, რათა მან შესძლოს: ეკონომიკაში სახელმწიფოს ინტერვენციის მიზეზების დადგენა; საზოგადოებრივი საქონლის თავისებურებების ანალიზი. კერძო და სახელმწიფო წარმოებას შორის არჩევანის განმსაზღვრელი ფაქტორების დადგენა; სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის განსაზღვრა გარე ეფექტების ინტერნალიზაციის პროცესში; საზოგადოებრივი წარმოების დონის შესახებ გადაწყვეტილების მიღების სპეციფიკის ანალიზი პირდაპირი და წარმომადგენლობითი დემოკრატიის პირობებში; შემოსავლის განაწილების ალტერნატიული კრიტერიუმების შეფასება. ღარიბთათვის სახელმწიფო დახმარების პროგრამების ეფექტიანობის განსაზღვრა; სოციალური დაზღვევის სისტემის პოზიტიური და ნეგატიური მხარეების ანალიზი; დანახარჯებისა და სარგებლიანობის ანალიზი კეთილდღეობის ეკონომიკის პოტენციური პროექტების შეფასების მიზნით; საგადასახადო ტვირთის განაწილების კვლევა ნაწილობრივი და ზოგადი წონასწორობის მოდელების საფუძველზე; სახელმწიფო ხარჯების შესახებ დაფინანსების არჩევანის თავისებურებების გამოვლენა; გადასახადის ცალკეულ სახეობათა (პირადი საშემოსავლო გადასახადი, კორპორაციული გადასახადი, ქონების გადასახადი და სხვ.) ანალიზი და შეფასება.

### **თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები**

კურსი აწვდის სტუდენტებს ცოდნას, რომელიც მათ საშუალებას მისცემს გააანალიზონ და შეისწავლონ თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები; აცნობს თანამედროვე სოციალური თეორიების ძირითად სკოლებს; საშუალებას აძლევს გაიაზრონ ფრანკფურტის სკოლის, სტრუქტურალიზმის და პოსტ-სტრუქტურალიზმის, პოსტმოდერნული თეორიების ძირითადი მიდგომები და გააანალიზონ სოციალური მოვლენები განსხვავებული სოციალური თეორიების საშუალებით.

### **ფინანსების მართვა**

ფინანსების მართვის კურსი სტუდენტებს აცნობს ბიზნესის ენას, ცნებებს და გარემოს. აწვდის საბაზისო ცოდნას ბიზნესის ორგანიზებისა და წარმართვისთვის საჭირო მიმართულებებში (ბუღალტრული აღრიცხვა, ფინანსები).



## **ორგანიზაციის და მართვის ფსიქოლოგია**

კურსი მიმართულია სტუდენტის მიერ საორგანიზაციო ქცევის ცნებების ათვისებაზე და მათი სწორად გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარებაზე; საორგანიზაციო ქცევის სფეროში არსებული მოდელებისა და პროგრამების შესწავლაზე.

მოცემული დისციპლინის ფარგლებში სტუდენტი შეძლებს მიწოდებული მასალის ინტერპრეტირებას მენეჯერის პოზიციიდან, მისი პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით; ასევე, მენეჯერის პოზიციიდან რეალური და სიმულირებული სიტუაციების გაანალიზებას და მათი გადაჭრისათვის შესატყვისი გზების მოძებნას.

## **პოლიტიკური ტექნოლოგიები, საზოგადოებრივი აზრის ფორმირების ტექნიკა**

სამთავრობო სექტორის პიარ ტექნოლოგიები და სპეციფიკა თვისებრივად განსხვავდება სხვა დარგებისა და სფეროების პიარ პრაქტიკისაგან. სამთავრობო სტრუქტურების და ინსტიტუციების ძირითად პიარ-პრიორიტეტებს მაქსიმალური საჯაროების და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და სამთავრობო სექტორსა და საზოგადოებას შორის ეფექტური კომუნიკაციის დამყარება წარმოადგენს. პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო კამპანიების დაგეგმა-განხორციელება კი პოლიტიკური იდეების აგრესიულ პოპულარიზაციას ანუ პროპაგანდას გულისხმობს, სადაც მთავარ „სამიზნე აუდიტორიას“ ქვეყნის მოსახლეობა და საზოგადოება წარმოადგენს. კურსის მიზანია, სტუდენტებს შეასწავლოს და გააცნოს ამ სფეროში მუშაობის ძირითადი პროფესიული უნარ-ჩვევები და თავისებურებანი.

## **ეგზისტენციალური ფსიქოლოგია**

კურსში განხილულია ადამიანის სამყაროში ყოფიერების არსობრივი ფსიქოლოგიური საკითხები, როგორცაა სიკვდილ-სიცოცხლის კონფლიქტი, თავისუფლება, პასუხისმგებლობა, მარტოობა, სიცოცხლის საზრისი, შფოთვა და ფობიები. ყურადღება გამახვილებულია ფენომენოლოგიური მეთოდის, როგორც ეგზისტენციალური ფსიქოლოგიის ძირითადი ინსტრუმენტის თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებზე და, ასევე, საზრისის მოძიება-მიგნებისათვის საჭირო ბაზისური უნარ-ჩვევების შემუშავებაზე.

## **განვითარების ეკონომიკა**

კურსი სტუდენტს აცნობს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ გამოწვევებს, მათი გადაწყვეტის პოლიტიკურ-ეკონომიკურ მიდგომებს და ინსტიტუტებს; ავითარებს სტუდენტის ანალიტიკურ უნარებს და იძლევა საკითხის გაფართოებულ სპექტრში გაცნობის შესაძლებლობას; სტუდენტს ეძლევა საშუალებები და ინსტრუმენტები, რათა დამოუკიდებლად გამოიტანოს დასკვნები განვითარების წინამდებარე პროცესზე.

## **ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია**

კურსი სტუდენტებს აცნობს ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის დარგის საფუძვლად მდებარე ძირითად თეორიებს და უქმნის წარმოდგენას თანამედროვე კვლევის მეთოდებზე; გადასცემს ცოდნას ერთი მხრივ, ინდივიდზე სოციალური და კულტურული ფენომენების გავლენის, ხოლო მეორე მხრივ, სოციალური ქცევისა და საზიარო კულტურის ფსიქოლოგიური საფუძვლების შესახებ.

## **საერთაშორისო ორგანიზაციები**

კურსი სტუდენტებს აცნობს თანამედროვე საერთაშორისო ორგანიზაციებს - მათი შექმნის ისტორიას, ფუნქციებსა და სტრუქტურას, გადაწყვეტილებათა მნიშვნელობას სახელმწიფოს საშინაო და საგარეო საქმიანობაში.